სახალხო გაზეთი

№ 781 შაბათი, 22 დეკემბერი 1912 წ. № 781

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის [illegible].

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სრულ. არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

წელიწადი მეოთხე

„სახალხო გაზეთზე"

წელიწადი მეოთხე

ყოველ-დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
„სურათებიანი დამატება" (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორ წიგნს**

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელისმომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტეშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა.
3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети". поч. ящ. 190.

კვირას, 23 დეკემბერს, გარდაცვალების მე-9 დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

თ-დ იური მიხეილის ძე ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა თ-დი ნიკოლოზ მიხეილის ძე ჭავჭავაძე და მისი ოჯახი.**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—11 ს. 883

ოთხშაბათს, 19 დეკემბერს, ტფილისში გარდაიცვალა აზნაური

კონსტანტინე დიმიტრის ძე ეგაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე **ნინო,** ასულნი: **ნადეჟდა, ლიუბოვ, სოფიო, თამარ და ევგენია,** ვაჟი **მიხეილ** და სიძეები: **ილ. ფერაძე** და **სერ. გორგაძე.** პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 ს., საკუთარ სახლში (არაგვის ქუჩა № 8). დაკრძალვა წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. ცხედრის შინიდან გამოსვენება კვირას, 23 დეკემბერს, დილის 9 საათზე. წირვა და ანდერძის აგება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 881.

ანდრია და ეკა ფოცხვერიები, შვილებით სარდიონ, ალექსანდრე და მიხაკოთი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა საყვარელი შვილი და მეორეთა ძმა

ვიქტორ ანდრიას ძე ფოცხვერია.

მიცვალებულს მიასვენებენ ბაქოდან სამტრედიაში, სოფ. ჭაგანში. დაკრძალვა კვირას, 23 დეკემბერს. 882.

კნეინა სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილისა, კნეინა სოფიო ივანეს ასული ბაგრატიონ-დავითაშვილისა, ეკატერინე ალექსანდრეს ასული კრივეცკისა, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული რჩეულიშვილისა მეუღლით, თ. ივანე ალექსანდრეს ძე მეუღლით და თ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა 18 დეკ. ს. ხოვლეში პირველთა ძვირფასი მეუღლე და ძმა ხოლო დანარჩენთა ძვირფასი მამა

თ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი

დაკრძალვა 23 დეკ. ს. ხოვლეში. 880

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ № 795.

კვირას, 23 დეკ., 1912 წ. ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმ. იქნება: ცნობილი ისტორიული პიესა **სამეგრელოს მთავარი ლევან,** დრამა 5 მოქ. ვას. ყიფიანისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ოთხშ., 26 დეკ., წარ. იქნება. დილით—„გამცემელი", საღ. „ანტიგონე".

1623 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართ. დრ. საზ. ადმინ.

სახალხო ავლაბრის სახალხო თეატრი **წარმ. № 19.**

კვირას, 23 ქრისტეშ..

პირველი გასტროლი ქართული თეატრის დამსახურებულ მსახიობთა ქ. ეფემია მესხისა და დ. აწყურელისა

ავლაბ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწ. წარმ. იქნება:

ლ ა ლ ა ტ ი, დრამა-ლეგენდა 5 მოქ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი **ეფ. მესხი,** მარგველაშვილი, დავითაშვილი, საკოვი, ძურული, ბ-ნნი. **აწყურელი,** ივანიძე, შანშიაშვილი, თავდგირიძე, კილოსანიძე, ქიზიყელი, სულთანიშვილი, სალაყაია, ძაისურაძე და სხვ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასები 10—50 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებ. ორკესტრი ბ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით

მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ანონსი: ამ მოკლე ხანში **კოტე მესხის** მონაწ. წარ. იქნება „ხალხის მტერი". 1636

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდილნაია,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვსკ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

ახალი კლუბი

შაბათს, 22 დეკემბერს, 1912 წ.

მასკარადი.

მასკის ბილეთების მისაღებად ნამდვილ წევრებმა კეთილ ინებონ და მიჰმართონ კლუბის შვეიცარს. მანდილოსანთათვის მასკები სავალდებულოა ღამის 1 საათამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს 1 მ., სტუდენტ. 25 კ. ტანისამოსის ფორმა: სამხედროთათვის—ჩვეულებრივია; დანარჩენთათვის—ვიც-მუნდირები—ფრაკი და ეროვნული ტანისამოსი. 1635



?

1531.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზია

ამზადებს ქართული წიგნების ახალს

კატალოგს.

ვისაცა ჰსურს თავისი გამოცემა შეტანილ იქმნას ამ კატალოგში, ვთხოვთ გამოგზავნოს წიგნები საკომისიოდ. ცნობა მიიღება 1 იანვრამდე. 1141.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ელისაბედის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მოსიარულე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი ვ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალიშვილი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხუციშვილი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედობრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ზედგენიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ, ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12— ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

ე. ხ ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ; კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ აბათობით ხუთშაბათოდით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. 1[illegible]

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 530

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ნატიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე გორდჟზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ქართული პრესა

„მერცხალი" ცხადს ტყუილში დავიჭირეთ და ეხლა სცდილობს, როგორმე საკითხი მიაფუჩეჩოს, რომ ამით მაინც გააქარწყლოს ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ყველაზე „მერცხლი"-ს ტყუილმა. ჯერ რიხიანად სთქვა, შეკითხვა კავკასიის რეფორმების შესახებ ჩხეიძემ შეიტანაო, რადგანაც შეკითხვას ჩვეულებრივად ის ასაბუთებს, ვისაც პირველად უწერია ხელიო. როდესაც სტენოგრაფიულ ანგარიშზე მივუთითეთ, „მერცხალმა" იგრძნო თავის შეცდომა, მაგრამ მაინც მოისურვა თავის დაძვრენა.

„მან, ე. ი. დეპ. გელოვანმა,—სწერს „მერცხალი",—როგორც მამულიშვილს შეჰფერის, თაოსნობა გამოიჩინა და კავკასიის შესახებ კითხვა დაუსვა მინისტრს (თითქოს ჩხეიძემ შეიტანაო?) რატომ არ ანხორციელებთ რეფორმებს კავკასიაშიო. და ზედ ისეთი დუჰილი დააყოლა, რომ მე ეს შეკითხვა ს.-დემ. ფრაქციისა მეგონა (ეგონა! კარგი თავის გამართლებაა! ინდოეთის მამლებსაც ასე ჰგონიათ ხოლმე). ასე მოეჩვენა (მოჩვენებები მარტო ავად-მყოფ ხალხს ეცხადება) პეტერბურგულ გაზ. „პრავდა"-საც, რომელიც დაწვრილებით ცნობებს ათავსებს ს.-დ. ფრაქციის მოქმედების შესახებ. (თუ სხვა ცნობებიც ასეთია, ვერავითარი შვილი ყოფილა ეს თქვენი „პრავდა"!).

პატიოსანი ადამიანი ამის შემდეგ დაჩუმდებოდა. მაგრამ, რადგანაც „მერცხლი"-ს პუბლიცისტები მწყრალად გახლავან პატიოსნებაზე, თავიანთ ტყუილებში დამნაშავედ ისევ ჩვენ გამოგვიყვანეს. როგორ? რატომ ილაპარაკა ჩხეიძემ და არა გელოვანმა, როდესაც ხელი გელოვანს უწერიაო. პასუხი ჯერ ისევ გუშინ მოვახსენეთ. ლაპარაკობენ იმიტომ, რომ დაიჯერონ შეკითხვის მიღებაზე. თუ შემკითხველმა წინდაწინვე იცის, რომ მის წინადადებას უკამათოდ მიიღებენ, რაღა საჭიროა ლაპარაკი? ენის ქავილის დასაკმაყოფილებლად? ეს ვარჯიშობა ისევ ჩხეიძისთვის დაგვილოცია

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** „საუნივერსიტეტო ადგილში" მიწის შეძენის მსურველი ბევრი გამოჩნდა. გუშინდლამდე წერილობითი სურვილი განუცხადა ქალაქის გამგეობას 75 კაცმა. თვითეული თხოულობს არა ნაკლებ 200 ოთხკუთხ საჟენისა. არიან მსურველნი 5,000 ოთხკუთხ საჟენის შეძენისაც. თვითეული ოთხკუთხი საჟენი იყიდება 3—4 მანეთად.

◆ **სასტატისტიკო ცნობები.** 1897 წლის აღწერით ტფილისში 9,842 უძრავი მამული ყოფილა, რომელსაც ქალაქის სასარგებლოდ 291,646 მან. დასაფასებელი გადასახადი ედო. 1912 წლის აღწერით ამ მამულების რიცხვმა 14,020-დე მიაღწია და დასაფასებელი გადასახადი 682,713 მან. ავიდა. ხელახალ შეფასების შემდეგ ეს გადასახადი 800,700 მან. ადის.

— 1897 წელს ტფილისში 312 სავაჭრო დაწესებულებას ედო სატრაქტირო გადასახადი (45,205 მან), ხოლო 1912 წელს—695 დაწესებულებას (75,000 მან.)

— 1891 წელს ტფილისში ცხენებზე შეწერილი იყო 24,353 მან. გადასახადი, 1912 წელს 30,200 მან.

— 1897 წელს საქალაქო მიწებს წლიური შემოსავალი ჰქონდა 45,825 მან. 1912 წელს ეს შემოსავალი 166,800 მან. უდრის.

◆ **ახალი ჟურნალი.** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო **ნ. ს. კურდღელაშვილს,** ტფილისში გამოსცეს ყოველ-კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო — იუმორისტული ჟურნალი სურათებით, სახელწოდებით **„სიმები“**.

◆ **წესიერი დასვენება.** გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს საჩქაროდ წარუდგინა დასამტკიცებლად წესიერ დასვენების ახალ სავალდებულო დადგენილებათა მესამე და მეთორმეტე მუხლები, რომელიც საბჭომ ხელ-ახლად შესცვალა. დასამტკიცებლადვე წარუდგინა ხორცის ახალი ნიხრი.

◆ ქალაქის საბჭოს **ხმოსნები ხვალ დაათვალიერებენ** სამექანიკო სამრეცხაოსი, საბავშვო საავადმყოფოსი და სადეზინფექციო კამერის შენობებს.

— გუშინ ქალაქის **საუნივერსიტეტო კომისიის** თავჯდომარემ თავ. გ. მ. თუმანოვმა ბანკში შეიტანა მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტის სახელობაზე 120 მან., რომელიც პოლიტეხნიკუმს შესწირა ტფ. მოქალაქემ ი. ს. მანველოვმა. ამდენივე ფული ბ-ნმა მანველოვმა შარშანაც შესწირა. ი. მანველოვს განუცხადებია ყოველ წლივ ამდენივეს შევწირავო.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგური** მზად არის. მომავალ კვირას, დილით, საცდელად გოლოვინის პროსპექტს გაანათებენ. წესიერი განათება დაიწყება ორშაბათიდან.

◆ **„ხატისოვკა“.** იმ პირთა ზოგიერთს თხოვნაში, რომელთაც სურთ, მიწა შეიძინონ „საუნივერსიტეტო ადგილში“ სურვილია გამოთქმული, რომ ამ ადგილს „ხატისოვკა“ დაერქვას.

◆ **მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტი** ამ დღეებში განიხილავს ბ-ნ **დ. კასრაძის** მიერ შედგენილ ბიოგრაფიას იუბილიარისას და ქართულ თეატრის განვითარების ისტორიულ მიმოხილვას. ეს წიგნი დღესასწაულისათვის გამოიცემა.

◆ **გამოფენა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მესაქონლეობის ბიურომ დაადგინა, 1913 წლის ზაფხულში გამართოს გუმბრში საქონლის გამოფენა.

◆ დღეს ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში **საჯარო ვაჭრობით გაიყიდება** სოფლის მამულები.

◆ **საყინულეს მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრებას** 1913 წელს ტფილისში მოიწვევენ.

◆ **ქალაქის ცენტრალური საავადმყოფო** სასულიერო სემინარიის შენობაში გადადის.

◆ უკვალოდ დაიმალნენ ახლად გაწვეული ჯარის კაცნი ანდრია წკრიანაშვილი და იოსებ ლეგაშვილი.

◆ სამართალში მისცეს კავკავის მცხოვრები პეტრე ლარიონოვი, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

წვრილი ამბები

◆ 20 დეკემბერს, ქსენიევის ქუჩაზე მცხოვრებ (სახლი № 5), პოდპოლკოვნიკ ყორღანოვის მეუღლეს ფლორა მიხეილის ასულს, დაკეტილ სკივრიდან მოჰპარეს ტანისამოსი და საცვლები ღირებული 365 მ. დამკარგავმა ხელი დაადო ამ სახლის მეეზოვეს ავაქ მაკოსას ძე ჩახოიანცს, და მეორე სახლის (№ 6) მეეზოვე არტამ გრიგორის ძე ხაჩატუროვს, რომელნიც დააპატიმრეს.

◆ 20 დეკემბერს პოლიციის სხვა და სხვა უბნებში შეიპყრეს 29 უპასპორტო.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 20 დეკემბერს მოხდა. კრებამ მოისმინა მოხსენებები: ა. ა. ქალანთარისა: „საყინულეთა მოწყობის საქმის დაწყების ნიშნები კავკასიაში“ და ინჟენერ ვასილიევისა: „ყინულის მნიშვნელობა“. ორთავე მომხსენებელმა აღნიშნა მნიშვნელობა საყინულეთა მოწყობის საქმის რიგიანად დაყენებისა და სურვილი გამოსთქვა, ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩვენში.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება. საბჭო განიხილავს 1913 წლის წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

ქუთაისი

◆ თავდასხმა ფილხაზ ციციაშვილზე. 19 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ქუთაისში, პოლიციის ქუჩაზე, საკუთარ სახლში რამოდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა ქუთათურ შეძლებულ ებრაელს ფილხაზ ციციაშვილს. როგორც ამბობენ თავდასხმელთ მიზნად ჰქონიათ ფილხაზ ციციაშვილის ვაჟის — აბეშას მოტაცება. თავდამსხმელებმა, გამოურკვეველია რა მიზეზის გამო, ასტეხეს საშინელი სროლა. მოჰკლეს აბეშა ციციაშვილი და საშინლად გალახეს აბეშას ძმა ისახარ, რომელიც ძმას გამოესარჩლა. მამა ფილხაზ ციციაშვილი უვნებლად გადარჩა. თავდასხმელებმა სროლის დროს შემთხვევით სასიკვდილოდ დასჭრეს გზაში მიმავალი ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელე ბ-ი სტავრაკოვი. ამის შემდეგ ყაჩაღები დაეშვენ ლევაშოვის ქუჩისკენ. გზაზედ ბოროტმოქმედთ ქამაროვის შესახვევში შეეჩეხა მესამე საპოლიციო უბნის ბოქაული მარქაროვი. ყაჩაღებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაული მარქაროვი, გადაცვივდნენ ბესარიონ გაბუნიას ეზოში და იქიდან უგზო-უკვლოდ მიიმალნენ. პოლიციამ ბესარიონ გაბუნიას და ექიმ ნაზაროვის ეზოში იპოვნა პალტო და ტყვიები, რომელიც გაქცევის ჟამს დარჩენოდათ ყაჩაღებს პოლიციამ ყოველგვარი ზომები მიიღო ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც ერთი ვერ აღმოაჩინეს.

◆ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მტრებმა კვლავ წამოყვეს თავი. არ ვიცით, ვისი ქადაგების ზეგავლენით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ზოგიერთ მასწავლებლებს სამეგრელოს და გურიის სკოლებში რუსული ენის შესასწავლად გოგებაშვილის „Русское слово“ გაუძევებიათ და მის ნაცვლად „გრიგორევიჩის“ სახელმძღვანელო შემოუღიათ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი ქართველი მასწავლებლები თურმე სთხოვენ სახალხო სკოლების დირექციას გოგებაშვილის სახელმძღვანელოს გაძევებას. მაგ. კუხის ორ-კლასიან სკოლის უფროს ბ-ნ ლუკა ჩომახიძეს ამ რამოდენიმე თვის წინედ ამის შესახებ ინსპექტორისათვის ქაღალდი გამოუგზავნია. ინსპექტორს — როგორც ამ ამბის თანადამსწრე კუხის სკოლის საამშენებლო კომიტეტის წევრები გადმოგვცემენ — უთქვამს: „რამ აგაჩქარა, ჩვენ ამის შესახებ ხომ არაფერი წინადადება არ მოგვიციაო“.

◆ როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ 17 ამ თვეს **ქალაქის თავის არჩევნები** არ შემდგარა იმ მიზეზის გამო, რომ ჯერ გუბერნატორს **არ** დაუმტკიცებია ქალაქის თავის ჯამაგირი. როცა ჯამაგირის საკითხი გადაწყდება, მერმე ქალაქის თავის არჩევაც შეიძლება. კენჭის ყრაზე ბ-ნმა ან. ს. ღულაძემ თანხმობა გამოაცხადა.

◆ ამ ჟამად საგუბერნიო სტამბაში იბეჭდება დიდი საბრალდებელო ოქმი, ამ ორწლინახევრის წინად ყალბი საბუთებით ფულის გატაცების შესახებ. საბრალდებელო ოქმი, როგორც გადმოგვცეს, პირველ იანვრისთვის იქნება მზად. ამ საქმის გამო 15-მდე ბრალდებული მესამე წელიწადია ქუთაისის სატუსაღოში სხედან.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება ხორცის ნიხრის გადიდებისა.

◆ ქ. ქუთაისის ბავშვებზე მზრუნველმა საზოგადოებამ ხელმოსაწერი ფურცელი გაუგზავნა ქალაქის თავს და სთხოვს ქალაქის საბჭოს მოსამსახურეთ შეეწიონ შობის ხის დადგმას ღარიბ ბავშვების სასარგებლოდ. („მერცხალი“)

◆ **აბაშის ბოქაულსა და** მომხმარებელ საზოგადოების **„ანგარიში“-ს გამგეობას შორის** მომხდარ ინციდენტის გამო გამგეობის დავალებით „შრომის კავშირი“-ის რედაქტორმა იასონ გაბილაიამ შესაფერი შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე. უკანასკნელი თანაგრძნობით მოეკიდა შუამდგომლობას დ დეპეშით უბძანა აბაშის ბოქაულს აბაქაროვს, რომ არა თუ არ წინააღუდგეს საზოგადოების განვითარებას, არამედ ხელი შეუწყოს მის მოქმედებას წესდების თანახმად. გუშინ ბ-მა ი. გაბილაიამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა აბაშის მომხმარებელ საზოგადოების „ანგარიში“-ს გამგეობას: „გუბერნატორმა დეპეშით აცნობა ბოქაულს, რომ არ გადაეღობოს საზოგადოებას. შეგიძლიათ მამასახლისის ან მისი თანაშემწისაგან მიღებული მოწმობით დაჰკლათ საქონელი. ვინიცობაა, წინააღმდეგობა გაგიწიონ და მამასახლისმა კანონიერი მოწმობის მიცემაზე უარი სთქვას, აცნობეთ დეპეშით გუბერნატორს“. როგორც ვიცით, აბაშის ბოქაული ადგილობრივ საზოგადოებას უკრძალავდა საყასბოს გახსნას. როცა ეს განკარგულება მაზრის ადმინისტრაციამ უკანონოდ იცნო და ნება მისცა გამგეობას გაეგრძელებია მოქმედება, ბოქაულს ბძანება გაუცია: „საქონელი მხოლოდ თორმეტი კაცის ფიცის ქვეშ მოცემულ მოწმობით შეგიძლიათ დაჰკლათო. რა თქმა უნდა ეს დიდი დაბრკოლება იყო საზოგადოებისათვის. სასიამოვნო, რომ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ბ-ნმა გუბერნატორმა.

(„იმერეთი“)

ჟურნალისტის დღიური

108.

ერთი საყვედურის გამო.

რედაქციას საყვედურები მოსდის, როდის უნდა მოეღოს ბოლო უსარგებლო კამათსა თქვენს და დასელებს შორისო. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პრესაში კამათი გაიმართა იმის შესახებ, თუ ვინ შეიტანა სათათბიროში კითხვა კავკასიის რეფორმების შესახებ —გელოვანმა თუ ჩხეიძემ. საყვედური სრულიად სამართლიანია. ასეთი უბრალო რამ, მით უფრო, რომ ფაქტიურ სინამდვილის აღდგენა ძალიან ადვილია, ყოვლად შეუძლებელია საგაზეთო პოლემიკის საგნად გახდეს. ჩვენს დეპუტატებს, მიუხედავად პარტიულ სხვა და სხვაობისა, ბევრი საერთო საქმე აქვთ გასაკეთებელი. მაგრამ, საუბედუროდ, სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ეს ვერ შეიგნეს და თავისი შეურიგებელი პარტიული ფანატიზმი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზედაც კი გადაიტანეს. შედგა თუ არა დეპ. გელოვანმა ფეხი სათათბიროში, მაშინვე დაიწყო არა საკადრისი და დემოკრატიულ პარტიათა ცხოვრებისთვის ჯერედ სრულიად უცნობი დევნა მემარცხენეთა რიგებში მჯდომ დეპუტატ გელოვანისა მარტო იმიტომ, რომ იგი სოციალ-დემოკრატების ძირ-მომპალ დოგმებს არ იზიარებს და სხვანაირად აზროვნებს სოციალ-პოლიტიკურსა და ეროვნულ საკითხებში. სოციალ-დემოკრატ დეპუტატებმა იკადრეს ის, რასაც არც ერთი, თავისი თავის პატივისმცემელი, ადამიანი არ იკადრებდა. იქ, სადაც საჭიროა სოლიდარული მოქმედება, შეთანხმება, პარტიულ ფანატიზმით დაბრმავებული სოციალ-დემოკრატები სთესავენ შუღლსა და უთანხმოებას. აზრთა სხვა და სხვაობა ყოველთვის ყოფილა და შემდეგშიაც იქნება. მაგრამ აზრთა სხვა და სხვაობა არა ნიშნავს ინტრიგების ქსელის გაბმას და ინსინუაციების თხზვას მოწინააღმდეგის სახელის გასატეხად. ამიტომ, თუ სასაყვედურო არის ვინმე, ისევ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც გეგეჭკორის ინსინუაციებით დაიწყეს და ჩხენკელის უდგილო პარტიული ჟინიანობით გაათავეს.

შინაური.

ქალაქის საბჭო

(20 დეკემბრის კრება.)

კრება საღამოს 8 1/2 საათზე დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით,

გამგეობის წევრმა თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა საბჭოს აუწყა: სამეურნეო კომისიამ საცდელად საქონელი დაჰკლა და დარწმუნდა, რომ ხორცის ახლანდელი ნიხრი საზარალოა ყასბებისათვის. ამიტომ გადასწყვიტა გირვანქა ხორცზე ერთი კაპეიკი მოუმატოს, ე. ი. ძროხის ხორცზე 12 კაპ. ნაცვლად 13 კაპ. დააწესოს, ხოლო ცხვრისაზე 15 კ. ნაცვლად 14 კ. ღორის ხორცი კი 14 კაპ.-ად გაიყიდოს.

ხმ. კეილი. ყასაბთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ხორცს იმ ფასად ჰყიდიან, როგორც მოესურვებათ. თუ ნიხრით არ გაჰყიდიან, რაღა საჭიროა მისი დამტკიცება. ამიტომ ნიხრი დავამტკიცოთ მხოლოდ მაშინ, თუ ქალაქის გამგეობა აღიარებს, რომ მას შეუძლიან მისი გატარება ცხოვრებაში. ამას წინად სამეურნეო კომისიამ ქალაქის გამგეობას ცნობები მოსთხოვა: რამდენ ყასბისთვის შეუდგენიათ ოქმი, რისთვის და რა სასჯელი დაუდვიათ. სად არის ეს ცნობები.

ხმ. ბაბოვი მხარს უჭერს კეილს: წინადადებას ვაძლევ საბჭოს, ნიხრი არას გზით არ დაამტკიცოს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს მიზანს ვერ მიაღწევს, მეორედ იმიტომ, რომ გამგეობამ ვერ დაგვარწმუნა, რამდენად საჭიროა ნიხრის მომატება. სამეურნეო კომისიას საცდელად ერთხელ დაუკლავს საქონელი და ამისაგან თავისი დასკვნა გამოჰყავს, საცდელად უნდა დაიკლას საქონელი არა შემთხვევით, არამედ სისტემატიურად. საკვირველია რომ ქალაქის გამგეობამ ხორცის გაყიდვის საქმე წესიერ კალაპოტში ვერ ჩააყენა. არსებობს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის შტატი, რომელიც საკმაოდ დიდია, არსებობს საერთო პოლიციაც, მაგრამ ყასაბთა თავგასულობას [illegible] უჩანს. ქალაქის გამგეობამ მეტად სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ყასბთა წინააღმდეგ. უნდა მიჰმართოს პოლიცმეისტერსაც, უმაღლეს მთავრობას და შუამდგომლობა აღძრას, რათა სრულიად დაჰკეტონ ის საყასბოები, სადაც ნიხრის დარღვევისათვის რამდენიმე ოქმი შედგენილა.

ა. ი. ხატისოვი. ამგვარ დამნაშავეთა დასასჯელად ადმინისტრაციას ვერ მივმართავ, არ შემიძლიან. რაც საჭირო და შესაძლებელი იყო, უკვე გავაკეთე. ოლქის სასამართლომ, ჩემის შუამდგომლობით, განკარგულება მოახდინა, რათა ასეთი დამნაშავენი მომრიგებელმა მოსამართლეებმა დაუყოვნებლივ გაასამართლონ და სასჯელი დაუყოვნებლივე მოახდევინონ.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ ახალი ნიხრი დაამტკიცა.

ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა განაგრძეს.

დიდი კამათი გამოიწვია სავაჭრო სამეურნეო პოლიციის რეორგანიზაციის საკითხმა. გამგეობა მოხსენებაში ამბობს. სავაჭრო პოლიციას დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში; დაკისრებული აქვს ერთობ ბევრი და სერიოზული საქმე, მისი შტატის კი ისე მცირეა, რომ დაუყოვნებლივ გადიდებასა და რეორგანიზაციას მოითხოვს; ამჟამად, როდესაც ქალაქის კასა სასურველს მდგომარეობაში არ არის, გამგეობა სხვა დროისათვის სდებს სამეურნეო პოლიციის ძირითად რეორგანიზაციის საკითხს და საჭიროდ მიაჩნია ახლა მხოლოდ მცირედ გაადიდოს შტატი და მოსამსახურეთ ჯამაგირი მოუმატოს.

მოხსენება მოითხოვს შემდეგს ცვლილებას: 1) ბაზრის მეთვალყურედ რვის მაგივრად 11 იყოს წელიწადში თითო 600 მან. ჯამაგირით, 2) დაარსდეს ახალი თანამდებობა ცხენოსან მეთვალყურისა, რომელმაც ღონის-ძიებანი უნდა მიიღოს ჩარჩვაჭართა წინააღმდეგ; წელიწადში 900 მან. უნდა მიეცეს, ხოლო ცხენი თავისი უნდა იყოლიოს, 3) ეგრედ წოდებულ „გზირთა“ 16 თანამდებობიდან გაუქმდეს 9 თანამდებობა და ნაცვლად დაარსდეს 14 ახალი თანამდებობა დაბალ აგენტებისა, წელიწადში 600 მან. ჯამაგირით და 4) ამ რეორგანიზაციით გამოწვეული ზედმეტი ხარჯი 7,320 მან. შეტანილ იქმნას 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში,

წინად სავაჭრო-სამეურნეო პოლიციაზე ყოველ-წლიურად 27,660 მან. [illegible]. ახალი პროექტი კი ითხოვს 34,980 მან., რომლის გადადებასაც თხოულობდა გამგეობა.

დიდის კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხმოსნებმა სულაბერიძემ, ბეზობრაზოვმა, ბაბოვმა, სულხანოვმა და სხვებმა, საბჭომ რეორგანიზაციის პროექტი

სად არის სიმართლე?

(კახეთის რკინის გზის გარშემო).

1.

(დასასრული *)

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ, თავ. პ. თუმანიშვილი, წინააღმდეგ თავად-აზნაურთა კრების დადგენილებისა, არავითარ ზომებს არ იღებდა კახეთის რკინის გზის საკითხის წინ წასაწევად. კახეთის რკინის გზის საკითხი აქციონერთა საზოგადო კრებაზე საბოლოვოდ გადასწყდა 29 ნოემბერს. ამ დრომდე თავად-აზნაურობას კიდევ შეეძლო გამოენახა საშუალება, შეეძინა დანარჩენი 550 ათასი მანეთის აქცია, წამდგარიყო აქციონერთა საზოგადო კრებაზე როგორც უმრავლესობა და ეთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა. მაგრამ თავის დროზე არავითარი ყურადღება არ მიაქციეს ამ საქმეს იმათ, ვის მოვალეობასაც შეადგენდა, სახელდობრ, დეპუტატთა საკრებულომ და მისმა ახალმა მესვეურმა. ეხლა კი როდესაც საკითხმა თითქმის ყველა ინსტანციები გაიარა, როდესაც კახეთის რკინის გზა სამუდამოდ ხელიდან გამოგვეცალა, იმართება კრებები და თათბირები. დაგვიანებულია. ეს საკითხები მაშინ უნდა გამორკვეულიყო, როდესაც ჯერ კიდევ ეშველებოდა რამე საქმეს. მაშინ თავ. პ. თუმანიშვილმა თითი არ გაანძრია და ეხლა კი ისიც და იმის დამქაშებიც ორომ-ტრიალს აყენებენ. რად მოიქცა თავ. პ. თუმანიშვილი ასე? იგი გვარწმუნებს, ასე ამიტომ მოვიქეცი, რომ მე დავრწმუნდი, თავად-აზნაურობისთვის სასარგებლოა კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზათა გაერთიანება ერთს საზოგადოებაშიო.

კერძო თათბირის სხდომაზე, რომლის ოქმი წაკითხულ იქნა 9 დეკემბერს, თ-დი პ. თუმანიშვილი, სხვათა შორის, ამბობს: „მე სხვაზე ნაკლებად არ მინდა საზოგადოებას ვემსახურო. საქმე ის არის, რომ თავად-აზნაურობის სარგებლობას თ-დი გურამიშვილი ჰხედავს იქ, სადაც მე ვნებასა ვხედავ, და წინააღმდეგ. როდესაც კახეთის რკინის გზის დებულებებს გავეცანი, **მე დავრწმუნდი, რომ კახეთის რკინის გზა ზარალის მეტს არაფერს მოუტანს თავად-აზნაურობას.** ამიტომ **მე გადავსწყვიტე,** რომ სჯობიან თავად-აზნაურობა მონაწილეობას იღებდეს დიდსა და მომგებიან საქმეში, და არა პატარასა და საზარალოში“.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ თავ. პ. თუმანიშვილს, რომელიც გუბერნიის მარშლის თანამდებობას ასრულებს, არავითარი, არც იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება არა აქვს ასე ილაპარაკოს. თავ. პ. თუმანიშვილმა რომ ასე **გადასწყვიტა,** ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მთელი თავად-აზნაურობაც ასე გადასწყვეტავდა. უფრო მეტსაც ვიტყვით. ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ქართველთა ფართო საზოგადოებაც ასე შეხედავდა საკითხს. თავ. პ. თუმანიშვილს **იურიდიული** უფლება არა ჰქონდა ასე მოქცეულიყო იმიტომ, რომ თავად-აზნაურობამ **დაავალა** დეპუტატთა საკრებულოს ხელი შეუშალოს შეერთებას. **ზნეობრივი** უფლება არა ჰქონდა, რომ მას არ უნდა ეკისრა ასეთი თვალსაჩინო და ჩვენი ქვეყნისთვის საყურადღებო საკითხის **მარტო** გადაწყვეტა. თუ თავ. პ. თუმანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ შეერთება სასარგებლოა, ჯერ უნდა შეეკრიფა თავად-აზნაურობა, გაეგო მისი აზრი, გაეგო ფართო საზოგადოების აზრი და მერე დასდგომოდა ამა თუ იმ გზას. მაგრამ თავ. პ. თუმანიშვილი ასე არ მოიქცა. თითონვე **გადასწყვიტა** რომ შეერთება სასარგებლოა და თითონვე მოაწყო საქმე. ამის უფლება თავ. პ. თუმანიშვილს, როგორც თავად-აზნაურობის მარშალსა და საზოგადო მოღვაწეს, არა ჰქონდა.

მაგრამ ნამდვილად საქმე არც ასე იყო. მთელი ეს ყაყანი შეერთების სარგებლიანობის შესახებ ჩვენ ზღაპრებად მიგვაჩნია. ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია. სადა? ვეცდებით, დოკუმენტების მიხედვით, ესეც გამოვარკვიოთ. ჯერ ისევ წინა წერილში ჩვენ გავაცანით მკითხველებს დეპეშა ბ-ნ ზ. ავალიშვილისა, რომელიც სწერდა, დეპუტაციას შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს, თუ ნამესტნიკი ამ დეპუტაციას მხარს დაუჭერსო. მაგრამ ნამესტნიკშიაც ცვლილება მომხდარა. იგივე ნამესტნიკი, რომელიც მხარს უჭერდა თავად-აზნაურობას კახეთის რკინის გზის კონცესიის მიღების დროს, ეხლა სულ სხვა აზრისაა. ყური დაუგდეთ. ის მოხსენება, რომელიც პრემიერ-მინისტრმა კოკოვცევმა წაიკითხა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე და რომლის შინაარსიც წინა წერილში გავაცანით ჩვენს მკითხველებს, დამყარებულია ნამესტნიკის წერილზე, (№ 19905), რომელიც მას გაუგზავნია 7 სექტემბერს კოკოვცევისთვის. ამ წერილში ნამესტნიკი სთხოვს კოკოვცევს, დაეხმაროს სიღნაღ-ბაქოს კონცესიის აღებას იმ სახით, როგორც ამას სცდილობენ თავ. პ. თუმანიშვილი, თაგიანოსაკი და სხვ. შეერთება კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზებისა ერთს საზოგადოებაში ნამესტნიკს აუცილებლადა და სასარგებლოდ მიაჩნია როგორც კავკასიისთვის, ისე ხაზინისთვის. თავად-აზნაურობის **ნაწილის** მიერ აღძრული პროტესტი შეერთების წინააღმდეგ კი მას, ნამესტნიკს, მიაჩნია უნიადაგოდ, უსაფუძვლოდ და მთელი კავკასიისთვის საჭირო საქმის შემფერხებლად. სტრატეგიულ, ეკონომიურ და სხვათა მოსაზრებათ, ძალით, ნამესტნიკს საჭიროდ მიაჩნია, რომ თუმანიშვილისა, თაგიანოსაკისა და ფელდოსოვის გზა აუცილებლად განხორციელდეს ისე, როგორც იმათა ჰსურთ. ყველა სხვა კომბინაციები კი ნამესტნიკს შეუძლებლად და სახელმწიფოებრივ ინტერესების საწინააღმდეგოდ მიაჩნია“.

კოკოვცევის მოხსენება, დამყარებული ნამესტნიკის აზრზე, საბჭოში შეაქვთ, და ეს უკანასკნელიც საკითხსა სწყვეტავს ისე, როგორც ამას „სახელმწიფოებრივი“ ინტერესი მოითხოვს. აი, ნამდვილი საფუძველი გაერთიანებისა. აი, რად მოითხოვდნენ მას! გაერთიანება საჭირო იყო იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა „სახელმწიფოებრივი“ და სხვა ინტერესები. ყოველ შემთხვევაში როგორც ნამესტნიკი, ისე მინისტრთა თავმჯდომარე სწორედ ასე ასაბუთებენ შეერთებას. მოიგონეთ ეხლა თავ. პ. თუმანიშვილის სიტყვები და ერთმანეთს შეადარეთ; მთავრობისა და თავ. პ. თუმანიშვილის სიტყვებს შორის ისეთს სოლიდარობას აღმოაჩენთ, რომ პირდაპირ გაოცდებით. გარდა ამისა, დაინახავთ, რომ თავ. პ. თუმანიშვილი მომხრე იყო კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს შეერთებისა ერთს საზოგადოებაში არა იმიტომ, რომ ეს თავად-აზნაურობისთვის **სასარგებლო** იყო, არამედ იმიტომ, რომ მთავრობას ეს შეერთება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა და უამისოდ თავ. პ. თუმანიშვილს სიღნაღ-ბაქოს კონცესიას არ აძლევდა. კერძო თათბირზე თავ. პ. თუმანიშვილმა პირდაპირ განაცხადა: ფინანსთა და გზათა მინისტრებმა განაცხადეს, სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის განხორციელება მხოლოდ **იმ ერთი პირობით შეიძლება, თუ იგი კახეთის რკინის გზას შეუერთდება.** ეს იყო მთავრობის პირობა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. თავ. პ. თუმანიშვილს ან უარი უნდა ეთქვა თავის განზრახვაზე, ან დაჰყაბულებოდა იმ პირობას, რომელსაც მთავრობა უდებდა. თავ. პ. თუმანიშვილმა მეორე ამჯობინა. ყველა ამის შემდეგ მტკიცება იმისა, რომ შეერთების მომხრე მე იმიტომა ვარ, რომ ეს შეერთება სასარგებლოდ მიმაჩნიაო, სიცილს თუ გამოიწვევს დაკვირვებულ და მიუდგომელ ადამიანზე.

რახან თავ. პ. თუმანიშვილი ერთხელვე დაჰყაბულდა მთავრობის წინადადებას, უსათუოდ უნდა გასამართლებელი მოტივებიც წამოეყენებინა. ერთნაირი მდგომარეობა ბუნებრივად ერთნაირ დასაბუთებას იწვევს. და მართლაც, ჩვენა ვხედავთ, რომ თავ. პ. თუმანიშვილის საბუთები ისეთივეა, რანაირიც მთავრობისა. იმდენად ერთნაირი, რომ უცხო კაცს ადვილად ეგონება, უეჭველია ლაპარაკობს მთავრობის მოხელე და არა ქართულ ეროვნულ ინტერესების დამცველი საზოგადო მოღვაწე. აბა მოისმინეთ: „მე, როგორც თავად-აზნაურობის წარმომადგენელს,—ამბობს თავ. პ. თუმანიშვილი,—მოვალედ მიმაჩნდა ჩემი თავი მეზრუნა არა ოთხი მაზრის ინტერესებისთვის, არამედ მთელი კავკასიისა. კატეგორიულად პროტესტს ვაცხადებ, რომ თავად-აზნაურობის რაღაც ჰკირვეულობისთვის (კახეთის რკინის გზაზე პატრონობის შენარჩუნება ჰკირვეულობაა! გ. ბ.) უარი ვსთქვათ გზაზე, რომელსაც მთელი კავკასიისთვისა აქვს მნიშვნელობა. იმედი, რომ კახეთის რკინის გზა ეროვნული იქნება, განუხორციელებელია, რადგანაც ექსპლოატაცია მოჰხდება მთავრობის სასტიკ კონტროლით. მთავრობა ნებას არ მოგვცემთ, რომ დიდიდან პატარამდე თქვენები მიიღოთ სამსახურში“.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 780

მიიღო და სავაჭრო პოლიციის შესანახად 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 34,480 მან. შეიტანა.

ამის შემდეგ საბჭომ 11,350 მან, შეიტანა ქალაქის თვითმმართველობის ხარჯის დასაფარავად (გათბობა-1000 მან, განათება-1,500 მან. მსახურთა შენახვა 5,940 მან. და სხვა.)

ობოლთა სასამართლოს რეორგანიზაციის საკითხი საბჭომ შემდეგ კრებისთვის გადასდო, რადგანაც ამ საგნის შესახებ მოხსენება მზად არა ჰქონდა.

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკულთან

(ინტერვიუ)

ჩვენი თანამშრომელი ეწვია პროფესორ გრედესკულს, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

საუბარი [illegible] ლად საქართველოსა და ქართველ ერის საჭიროებასა და მდგომარეობას, აგრეთვე მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს და იმას, თუ რის მოლოდინი შეიძლება რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებათაგან.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, შესაძლოა თუ არა ეხლანდელ მდგომარეობაში მეოთხე სათათბიროსაგან ველოდეთ დაპირებულ თავისუფლებათა მინიმუმის განხორციელებას მაინც, პროფ. **გრედესკულმა** შემდეგი უპასუხა:

„ჩემი შეხედულება საერთოდ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროზე ოპტიმისტურია, ძლიერ საგულისხმიეროდ მიმაჩნია მეოთხე სათათბიროს წევრების არჩევნების საერთო სურათი. ეს სურათი ცხადი მაჩვენებელია იმისი, რომ ხალხმა რეაქცია დაამარცხა და საშუალება არ მისცა სათათბირო დაეპყრო. ყოველნაირი ძალდატანება იყო, მაგრამ ხალხმა მაინც მთავრობის სასურველი სათათბირო უარჰყო. ეს კატეგორიულად და ცხადად გამოჩნდა განსაკუთრებით აქ, ამიერ კავკასიაში. კერძოდ მე ამითი ვხსნი რომ მეოთხე სათათბიროში შესდგა კონსტიტუციონალური უმეტესობა, რომელსაც მიემხრნენ ზოგიერთი ოქტომბრისტებიც, ამას შემთხვევითი ხასიათი კი არ აქვს, ჯერმედ შედეგია საერთო წინმსვლელობისა, საერთო სულიერ განწყობილებისა,

— სჩანს თუ არა დასაწყისიდანვე, რომ სათათბირო საყურადღებო სამსახურს გაუწევს ხალხსა.

— რასაკვირველია, განსაკუთრებულს რამეს მე არ მოველი, მაგრამ, ვიმეორებ, „ჩემი შეხედულება ოპტიმისტურია. როძიანკოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოკოვცევის სიტყვა, რომელიც ბევრად თუ ცოტად უახლოვდება როძიანკოს სიტყვას, შემდეგ მორიგ საქმეებზე გადასვლა პროგრესისტების ფორმულით, სადაც ხაზ-გასმული იყო, სათათბიროს იმედი აქვს, რომ მთავრობა კანონიერად შეასრულებს მანიფესტით ბოძებულ თავისუფლებასო—ყველა ამას შემთხვევითი ხასიათი არა ჰქონია. სხვა საკითხია, შეგვიძლიან დავუჯეროთ როძიანკოს და კოკოვცევს თუ არა. მაგრამ საკითხის ასეთი დასმა სწორი არ იქნება, რადგანაც სახელმწიფო საქმე პირადობაზე არ არის დამყარებული. მეოთხე სათათბიროს არჩევნების დროს რეაქცია დამარცხდა, რეაქციას სათათბიროს გადაყლაპვა ჰსურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. მე მგონია, მეოთხე სათათბირო გაცილებით უკეთესი იქნება მესამეზე.

— შესაძლოა ისეთ რეფორმების განხორციელება, როგორიც არის ერობა, ნაფიც მსაჯულთა შემოღება და სხვა?

— ამასაც ოპტიმისტურად ვუყურებ. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს რეფორმები სწრაფად განხორციელდეს. ერობის შემოღება კი უკვე მორიგ საკითხათ [illegible] გამო[illegible]ლი.

— კავკასიის შესახებ ხომ არაფერი თქმულა ამ მხრით.

— რაც შეეხება კავკასიას კერძოდ, მე მგონი ამავე რეფორმების გზას უნდა დაადგნენ. მაგრამ შეასრულებს ამას მეოთხე სათათბირო თუ არა, ძნელი სათქმელია. უმრავლესობა კი უკვე იმ აზრისაა, რომ დღეს არა, ხვალ ამ გზას უნდა დაადგეს. მაგალითად კავკასიის უნივერსიტეტის საქმე, დიდი ხანია აღიძრა. მაგრამ თქვენ პოლიტეხნიკუმს გაძლევენ. მე მგონია, მეტი გზა არ არის, ეს მაინც უნდა გამართოთ. ბოლოს იძულებულნი გახდებიან, ყველა რეფორმა შემოიღონ. მეოთხე სათათბიროს იმედი კი ამ მხრივ არა მაქვს.

— შესაძლოა თუ არა, შემოიღონ სწავლება სამშობლო ენაზე პირველ დაწყებითი სკოლებში მაინც?

— რასაკვირველია, მე მგონია, საპედაგოგიო პრინციპების მიხედვით. ეს სასურველიცაა და საჭიროც არის. ეს ხომ ელემენტარული მოთხოვნილებაა. როგორც მახსოვს, მესამე სათათბიროში ოქტომბრისტებმაც კი დაუჭირეს მხარი.

— ჩვენ ვიცით რუსეთის მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულება პოლონელებისა და ფილიანდიელებისადმი, ვიცით აგრეთვე ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტის საშუალებანიც მათ შესახებ, მაგრამ არ ვიცით აზრი რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებისა საერთოდ და თქვენი—კერძოდ საქართველოს საკითხზე. როგორ ეპყრობით საქართველოს ნაციონალურ საკითხს.

ამაზე პროფ. გრედესკულმა შემდეგი პასუხი მოგვცა: დღევანდელ ლექციაში რასაკვირველია, ყველა ერის საკითხს კერძოდ ვერ გამოვარკვევ. ერთ მოკლე ლექციაში ეს შეუძლებელია ჩემი ლექცია ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი თეორეტიულია, მეორე ნაწილში ვეხები საერთოდ ცალკე ერების დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან. ისტორიამ არ იცის ისეთი მაგალითი, რომ ყოველ ერს ცალკე სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება ჰქონდეს. მუდამ, სანამ მილიტარიზმი არსებობს, ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი იქნება მოქცეული. ამიტომ გვიხდება ერთსახელმწიფოში სხვა და სხვა ერთა ცხოვრების საკითხის დასმა. რასაკვირველია სახელმწიფოს მოპყრობა კეთილი უნდა იყოს. მე მომხრე ვარ ეროვნულ კულტურულ თვით-გამორკვევისა, და ავტონომი[illegible], რამდენადაც ამას ითხოვს პირობები. დენაციონალიზაციამ ვერ მოიტანა ის შედეგები, რომლებსაც მასზე დენაციონალიზატორები ამყარებდნენ. არა მგონია რუსეთის ერები სეპარატისტული აზრების მიმდევარნი იყვნენ. ამის საბუთები არა გვაქვს, განსაკუთრებით 1905 და 1906 წელმა ნათლად დაგვანახვა, რომ არავითარი სეპარატიზმი არ არსებობს; ძმობისა და ერთობის სრული სურათი იყო.

რაც შეეხება სა[illegible]ქართველოს, აქ სხვა საკითხია. აქ თვითგამორკვევაზე კი არა, ავტონომიაზე უნდა ვილაპარაკოთ. როგორც ვიცი, აქ ერთგვარი ტენდენცია არის და მძლავრიც: ავტონომისტ-ფედერალისტური. აქ იბადება საკითხი, თუ რა ისტორიული საფუძველი აქვს ამას. საქართველოს წარსული, რუსეთთან თავის ნებით შეერთება, რასაკვირველია, ამის უფლებას აძლევს. მაგრამ გადაჭრილი პასუხის მიცემა ჩემთვის საძნელოა. არ ვიცი, რამდენად მომწიფებულია ეს აზრი, რამდენად გამორკვეულია იგი ხალხში. ბეჭდვითი მასალები არ მოიპოვება; გარდა ზ. ავალიშვილის წიგნისა, სადაც ეს საკითხი ბუნდოვანად არის განხილული. პოლონეთში კი ეს საკითხი ძლიერ ნათლად არის დასმული, გარკვეულია, და კადეტებსაც აქვთ შეტანილი პროგრამაში. მე ასეთი შეხედულება მაქვს ამ საგანზე. თუ კი მოთხოვნილება ჩამოყალიბებულია და გამორკვეული, ანგარიშიც უნდა გავუწიოთ. პირველ სათათბიროში იყო ფედერაციის პარტია. მაგრამ მე მას არ ვემხრობოდი, რადგანაც ვფიქრობ რუსეთის სახელმწიფოს ფედერატიულად გარდაქმნა შეუძლებელია, საფუძველი არა აქვს. შვეიცარიის მაგალითი საუცხოვოა, მაგრამ რუსეთს არ ეთანაბრება. მოკლედ, თუ ასეთი საკითხები იქნება წამოყენებული, ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე უნდა გადასწყდეს. აქ, კავკასიაში უარესად არის გამწვავებული საკითხი. რაც შეეხება საქართველოს, სულ სხვა საკითხია, იგი მთლიანი ერთეულია და მისი ავტონომიის განხორციელების საწინააღმდეგო, მე მგონია, არავის არა უნდა ჰქონდეს რა, მაგრამ ავტონომიის მოთხოვნილებას ვერა ვხედავ. ეს მოთხოვნილება თვით ქართველებმა უნდა წამოაყენონ.

ამნაირად დასრულდა საუბარი, პროფ. გრედესკულმა მოიგონა თავისი მეგობრები გ. ლასხიშვილი, ი. ნაკაშიძე და სხვანი.

9 დეკემბრის სხდომაზე თავ. პ. თუმანიშვილმა გაიმეორა ეს სიტყვები. იქაც სთქვა: „ნუ გაგიკვირდებათ, თუ საერთოდ კავკასიისთვის სასარგებლო გზას ვამჯობინებ რაღაც კახეთის პატარა ტოტს, სწორედ ისევე როგორც კავკასიის უნივერსიტეტს ვამჯობინებ ქართულ ეროვნულ სკოლასაო“. თავ. პ. თუმანიშვილმა ეს სთქვა და „პროგრესიული“ ხროვა ამ სიტყვებს ტაშის ცემით მიეგება.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ. ამბობენ, ხელ-შეკრულობა იმნაირად იყო დაწერილი, რომ ბანკებს შეეძლოთ ესარგებლათო. რომ ეს ასეა, ამას შემდეგი მოვლენებიც გვიმტკიცებს. ბანკმა, როგორც კახეთის რკინის გზის აქციონერთა საზოგადოების უმრავლესობამ, სწორედ ისე დააყენა საკითხი, როგორც ამას მისი სპეკულიატიური ინტერესი მოითხოვდა. თავ.-აზნ. ხელ-შეკრულობის ძალით ვერ შეეძლო აელაგმა ბანკის გადვიძებული მადა, და მოჰხდა ის, რაც წინდაწინვე მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს კიდევ ნებას არავის აძლევს გაამართლოს მოქმედება იმ ქართველისა, რომელიც თითონა სცდილობს ცეცხლს ნავთი დაასხას. თუმცა ხელ-შეკრულობით თავად-აზნაურობის ინტერესები უზრუნველყოფილი არ იყო, მაგრამ მას ჰქონდა უფლება 550 ათასი მანეთის აქციების შეძენისა. ვინც ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის ზრუნავდა, მთელი გულის ყური იქითკენ უნდა ჰქონოდა მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება მალე შეეძინა თავად-აზნაურობას 550-ათასი მანეთის აქცია და ამ რიგად გადამწყვეტი ხმით წამდგარიყო აქციონერთა კრებაზე. მაგრამ იმათ, ვის ხელთაც იყო საქმე, ეს არ მოისურვა, და ჩვენც კახეთის რკინის გზა ხელიდან გამოგვეცალა.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა ყოველი ღონის ძიება იხმარეს, ზოგმა შეუგნებლად, ზოგმა შეგნებულად, რომ კახეთის რკინის გზის პატრონობა ხელიდან წაგვსლოდა და კიდეც მიაღწიეს მიზანს. თუ დამნაშავენი არიან ისინი, ვინც ხელ-შეკრულობის დაწერის დროს არ უზრუნველჰყვეს თავად-აზნაურობის ინტერესები, ერთი ორად უფრო დამნაშავეა ის, ვინც კი არა შველოდა, არამედ უშლიდა საქმის გამობრუნებას და დაბოლოვებას ჩვენდა სასარგებლოდ. თავ. პ. თუმანიშვილი ამ საქმეში მოიქცა არა როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე, არამედ როგორც კონცესიონერი, რომელსაც სპეკულიატიკურ მოსაზრებების მეტი არაფერი აინტერესებს. თავ. პ. თუმანიშვილის მომხრეებს შეუძლიანთ პროტესტი პროტესტზე გამოაცხონ, შეუძლიანთ რეპეტულოვისებური ყრიამული ასტეხონ, მაგრამ ამით შავს თეთრად ვერავის მოაჩვენებენ. სხვის შეცდომებზე მითითება თავ. პ. თუმანიშვილს მსჯავრისაგან ვერ იხსნის..

გ. ბარელი.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება

(შემდეგი *)

მოხსენების თაობაზე კამათი დაიწყო.

ი. ქუთათელაძე. მოხსენებაში ნათქვამია ჩვენებურ ჯიშის საქონელი გამოურკვეველია, ბოლოს კი საზოგადოება ისე აპირებს მუშაობას, თითქო იცოდეს სად რა ჯიშის საქონელია. გვყავს მცოდნე პირნი, რომელთაც შეუძლიანთ სთქვან, სად რა ჯიშის საქონელია. ასეთი პირნი არიან მთვარელიშვილი, ქართველიშვილი, ყავრიშვილი. როდესაც საზოგადოება ასეთ სერიოზულ საკითხებს სწყვეტს საჭიროა მასალები და ცნობები, ამიტომ საჭიროა გამოცდილ პირთა თანადასწრება.

თავმჯდომარე. გაზეთებში ვაცხადებთ, წერილებსა ვსწერთ, მაგრამ არ დაიარებიან.

ვ. რცხილაძე. ყველას მივმართეთ ოფიციალურის წერილით. ვთხოვეთ თუ ჩამოსვლა არ შეეძლოთ, თავისი აზრი წერილებით მაინც გაეზიარებინათ ჩვენთვის. მაგრამ ყავრიშვილის გარდა, პასუხი არავისაგან არ მიგვიღია.

ბ. გულისაშვილი. რა აზრს დაადგა საზოგადოება, თვით იწყობს მუშაობას თუ ზედამხედველობას უწევს ხალხს?

ვ. რცხილაძე. მოხსენებაში ორი მხარეა. ერთის მხრივ უნდა შევისწავლოთ მთიულეთის საქონელი, უნარი იქაურ საქონლისა, რომელიც, ზერელედ თუ საფუძვლიანად, არის მიღებული საუკეთესო ჯიშად ჩვენ ქვეყანაში. მეორე მხარე კი—თან ავაყოლოთ პრაქტიკული მუშაობაც, რომ პატრონებს მეტი სარგებლობა მივსცეთ.

თავ. ვახვახიშვილი. ეჭვი არ არის, რომ საგანს შესწავლა უნდა. ამისთვის საჭიროა სადმე ერთი სადგურის მოწყობა. მაგრამ მოხსენებაში გამორკვეული არ არის, რად არჩია სექციამ კაიშაურის ველი. საჭიროა ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კაიშაურის ველი, ბევრმა არც კი იცის რა არის იგი; ამ მხრივ უნდა გამოგვერკვიათ, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდით. საჭიროა ეს ცნობები, თორემ პრინციპიალურად წინააღმდეგი არავინ არ არის.

ბ. ხეთაგური. მოხსენებაში ნაჩვენებია თუ რად შეჩერ[illegible] სექცია ამ [illegible] იქაური მცხოვრებნი მხოლოდ და მხოლოდ მესაქონლეობას და მერძეობას მისდევს. მაშ სად უნდა იმუშაოს საზოგადოებამ თუ არ ასეთ ალაგას. ციფრებით დასაბუთება არ არის, მაგრამ განა ეს ისე საყურადღებოა? ამბობენ თიანეთის მაზრის შესახებ, მაგრამ იქაური მცხოვრებნი სხვა დარგებსაც მისდევენ.

ი. ქუთათელაძე. გამოიკვლია თუ არა სექციამ სხვა ადგილები?

ბ. ხეთაგური. თქვენ მიანდეთ სექციას როგორც სანდო, მცოდნე პირთ; მაშასადამე, მე მგონი, ასეთ კითხვას აქ ადგილიც არ უნდა ჰქონდეს.

(დასასრული იქნება)

სასამართლო

თავ. მამუკა ორბელიანისა, გრ. ამირაჯიბისა და სხვათა საქმე.

ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში 20 დეკემბერს დაიწყო განხილვა „ტფ. ლისტოკის“ რედაქტორის ქ. ხაჩატუროვის ცემის საქმე. სასამართლოს დარბაზი სავსეა ხალხით. ამ საქმისათვის სამართალში მიცემულნი არიან: თავ. მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, თავ. გ. ი. ამირაჯიბი, თავ. ა. მაყაშვილი, ნ. ყანჩელი და მ. ლომჯანიძე. გამოწვეული იყო 24 მოწმე. აქედან გამოცხადდა 16,

მომჩივანის მხრივ ბრალსა სდებენ ნაფ. ვექ. კლანკი და ნაფ. ვექ. თან. ქანანოვი. ბრალდებულთ ყანჩელს და ლომჯანიძეს იცავენ: ნაფ. ვექ. სტალინსკი და რუტკოვსკი, დანარჩენ ბრალდებულთ დამცველები არა ჰყავდათ.

საჩივრის მიხედვით საქმის ვითარება ასეთია: 1909 წლის 5 ივლისში „იუჟანესს ბალში თავ. ორბელიანმა გაიწვია ქ. ხაჩატუროვი და ორი სილა სტკიცა. შემდეგ ხაჩატუროვს სხვებმაც სცემს. ცემა შეწყვიტა პოლიციამ. ხაჩატუროვი კარგა ნაცემი აღმოჩნდა და დიდხანს მოუნდა წამლობა. თავ. ამირაჯიბს თუმცა ცემაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ აქეზებდა ბრალდებულთ. ეს საქმე ჯერ მომრიგებელ მოსამართლესთან იყო, მაგრამ იქიდან საოლქო სასამართლოში გადასცეს.

ყველა ბრალდებული გამოცხადდა. გამოცხადდა აგრეთვე მომჩივანი ხაჩატუროვიც.

ნაფ. ვექ. ქანანოვი სთხოვს სასამართლოს საქმე გადაიდოს და ახალი ექსპერტიზა დაინიშნოს ხაჩატუროვის შესამოწმებლად, რადგანაც ცემის გამო მარცხენა ყურის დაღლაბანდი გაუფუჭდა და აღარ ესმის.

ზოგიერთი ბრალდებულთაგანიც შუამდგომლობენ განხილვის გადადებას. სასამართლომ ცოტა თათბირის შემდეგ უარჰყო მათი შუამდგომლობა და საქმის განხილვას შეუდგა.

მოწმე **არლოვსკაია.** თავ. ამირაჯიბი ბალში ხაჩატუროვს ლანძღავდა. შემდეგ მოვიდნენ: ყანჩელი, წერეთელი და სხვანი და ჩვენ მაგიდასთან დაადგმევინეს მეორე მაგიდა. აქ კიდევ გვლანძღავდნენ. გ. წერეთელმა უშვერის სიტყვებით მომიხსენია, მაშინ ავდექი და სილა გავარტყი. შემდეგ ამისა ამოვიდა ორი შეიარაღებული თავადი, რომელთაც რაღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდა ამირაჯიბი. თავ. ორბელიანმა გაიწვია ხაჩატუროვი და სილა გაარტყა. შემდეგ მას მიესიენ სხვებიც და ყველანი სცემდნენ.

თავ. მიქელაძე და მისი ასულიც ქ-ნი დანილენკო ასეთსავე ჩვენებას აძლევენ. გარდა ამისა ამტკიცებენ ყანჩელმა და ლომჯანიძემ ჯოხებით სცემესო. წინეთ ყურის ტკივილზე არაფერი ულაპარაკნია, ცემის შემდეგ კი ტკივილებსა სჩიოდაო.

მოწმე გვაზავა ამტკიცებს, რომ მეორე დღეს ხაჩატუროვი არტისტიულ საზოგადოებაში მოვიდა და თვალზე მიგვითითა, მცემესო, თანაც დაუმატა: მადლობა ღმერთს, რომ თავ. ორბელიანს დუნე ხელი ჰქონია და მსუბუქად გამარტყა, თორემ მომკლავდაო.

ბოქაული **დუშინსკი.** ხაჩატუროვი მე წავიყვანე ეტლით, მაგრამ გარდა ორბელიანისა არავინ არ დაუსახელებია. მხოლოდ ის კი სთქვა, მცემაო.

დანარჩენი მოწმეები ახალს არას ამბობენ.

ნ-ფ. ვექ. **კლანკი** ამტკიცებს რომ ის, ულმერთოდ სცემეს ხაჩატუროვს, რომ სმენა დაჰკარგაო. ამიტომ თხოულობს ყველა ბრალდებულის დასჯას.

ხაჩატუროვი. არავითარი საბუთი არ მიმიცია ცემისათვის. 30—40 წელიწადია აქა ვცხოვრობ და არავისათვის არ მიწყენინებია. სამი წელიწადია ვიტანჯები, თუ დანაშაული მე მიმიძღვის დამსაჯეთ თუ არა და სამართალს ვთხოულობო.

ნაფ. ვექ. **სტალინსკი.** ამტკიცებს რომ ნ. ყანჩელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. იმაზე დამყარება რაცა სთქვეს ხაჩატუროვის მოწმეებმა შეუძლებელია. ქ-ნმა დანილენკომ ისიც კი სთქვა, რომ თავ. ამირაჯიბიც სცემდაო, თუმცა ყველამ დაამოწმა, რომ ცემაში ამირაჯიბს მონაწილეობა არ მიუღიაო.

ნაფ. ვექ. **რუტკოვსკი.** შეხედეთ ბრალდებულთ, მაგალითად ა. მაყაშვილს. ამას რომ ჯოხით ეცემა, ხაჩატუროვი განა შესძლებდა მეორე დღეს არტისტიულ საზოგადოებაში წასვლასა. ამ ბაღში შესვლა ჯოხებით არ შეიძლება, როგორც სხვა კლუბებშიო. თხოულობს ლომჯანიძის გამართლებას, ბრალდებულთაც თავი არ იცნეს დამნაშავედ და გამართლება მოითხოვეს.

სხდომა 21 დეკემბრისათვის გადაიდო.

ბალკანეთის ომი

დეპეშები

20 დეკემბერი.

სამშვიდობო კონფერენცია.

ლონდონი. სამშვიდობო კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ვენიზელოსი. ოსმალეთის დელეგატებმა სხდომის დასაწყისში თავისი შეცვლილი პირობები წერილობით წარუდგინეს. მოკავშირე დელეგატებმა ცალკე თათბირი გამართეს და თავის მხრივ კოლექტიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მოკავშირე დელეგატები ერთსულოვნად ჰმოქმედებენ.

ოსმალნი დასთანხმდნენ მოკავშირე დელეგატების წინადადებას, რომ მაკედონიის და ეპირის საკითხი ჯერ მოკავშირე სახელმწიფოთ განიხილონო, წინააღმდეგ ოსმალების წინადადებისა, რომელიც მოსთხოვდა ამ საკითხის საერთა-შორისო მსჯავრისათვის გადაცემას. დარჩა ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვრის საკითხი, არ განუხილავთ აგრეთვე ალბანეთის და კრიტეს საკითხიც.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, ოსმალების შეცვლილი პირობები შემდეგია: 1. დაეთმოს ოსმალეთის ადრიანოპოლის დასავლეთ მხარის ტერიტორია. 2. ალბანეთის ორგანიზაციის საკითხი დიდ სახელმწიფოთ გადაეცეს. 3. ბულგარებთან ერთად ითათბირონ ოსმალეთის და ბულგარეთის საზღვარზე, ოსმალეთმა ეს მოთხოვნილება შესცვალა მოკავშირე დელეგატთა წინადადებისამებრ. საზღვრის საკითხი უნდა შეადგენდეს მთელ კონფერენციის საგანს. 4. კრიტეს საკითხი დიდ სახელმწიფოებს გადაეცეს; მოკავშირე დელეგატებმა უპასუხებს: ჩვენვე გადავცემთ ამ საკითხს დიდ სახელმწიფოებს, მხოლოდ ეხლა ოსმალეთმა უნდა დაუთმოს მოკავშირეებს კრიტე. 5. ოსმალებმა უარი სთქვეს ეგეის კუნძულების დათმობაზე, რადგანაც იგი ეკუთვნის არა ევროპას, არამედ აზიას. მოკავშირე დელეგატებმა გადაჭრით მოითხოვეს ეგეის კუნძულების დათმობა.

ლონდონი. ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვარზე თათბირის დროს, მოკავშირე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ საერთო მოსაზრება აქ არ გამოდგებაო; ოსმალებმა უნდა წარმოადგინონ რუქა. რეშიდ-ფაშამ უპასუხა, რომ საამისო ინსტრუქციები არ მოსვლიათო. შესაძლებელია ოსმალებმა პარასკევს წარადგინონ რუქა.

ლონდონი. მაკედონიის ავტონომიის საკითხში ოსმალები დასთანხმდნენ, მხოლოდ ამ საკითხის გამო შემდეგი მოთხოვნილებანი წარმოადგინეს: 1. ადრიანოპოლის დასავლეთით მდებარე ვილაიეტები მოკავშირეთ დაეთმობეთ, მხოლოდ ალბანეთის მიჯნებისა და ავტონომიის საკითხის განსაზღვრა დიდ სახელმწიფოებს მიენდობათ. 2. ადრიანოპოლის ვილაეთი ოსმალეთის კუთვნილებად რჩება; საზღვრის დადება [illegible] ბულგარეთს. 3. ოსმალეთი ეგეის ვერც ერთ კუნძულს ვერ დაუთმობს, მხოლოდ კუნძულთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს სხვა სახელმწიფოებთან ერთად. 4. ოსმალეთი მზად არის დასთანხმდეს სახელმწიფოთა ყოველ გვარ გადაწყვეტილებას კრიტის შესახებ. 5. ზემო აღნიშნული მუხლები წარმოადგენს ერთ მთლიან რამეს. დღევანდელი მოკავშირე დელეგატებმა უპასუხეს: 1. მოკავშირენი დასთანხმდებიან ადრიანოპოლის დასავლეთით მდებარე ვილაეტების მიღებას იმ შემთხვევაში, თუ დაეთმობათ მათ, როგორც დაპყრობილი ტერიტორია, აგრეთვე დაუპყრობელიც. 2. ოსმალეთის წინადადება ადრიანოპოლის ვილაეტის თაობაზე შეუწყნარებელია. 3. შეუწყნარებელია აგრეთვე წინადადება ეგეის ზღვის კუნძულების თაობაზე. მოკავშირენი დასთანხმდნენ ოსმალეთის წინადადებას ალბანეთის თაობაზე.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

20 დეკემბერი.

ლონდონი. საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის და ბულგარეთის ელჩებმა გრეი ინახულეს.

ვენა. ხმები, ვითომც იტალიასა და ავსტრიის შორის უთანხმოება ჰსუფევს ალბანეთის საზღვრების გამო, სიმართლეს მოკლებულია. იტალია და ოსმალეთი თავიდანვე ერთი აზრისანი არიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

20 დეკემბერი

საზღვარ-გარედ

კიდერლენ-ვეხტერის დაკრძალვა.

შტუტგარტი. კიდერლენ-ვეხტერი, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი აუარებელ ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს. დაკრძალვას დაესწრო ვიურტენბერგის მეფე და იმპერიის კანცლერი.

იაპონია.

ტოკიო. გაზეთი „იოროძუ“ სწერს: ჯარის გაძლიერება უნდა შეუფარდოთ პოლიტიკის საერთო გეგმას. იაპონიამ უნდა მისცეს თავისუფალი მოქმედება დასავლეთ სპარსეთში. მხედველობიდან არ უნდა დაჰკარგოს იაპონიამ სამხრეთით მანჯურია და აღმოსავლეთით მონგოლეთი.

დუელი.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტ ტისსა და გრაფ კაროლის შორის მოხდა დუელი. მოპირდაპირეები სუბუქად დაიჭრნენ და შეურიგებლად გაშორდნენ ერთმანეთს. დუელმა ერთ საათს გასტანა.

რუსეთი.

პეტერბურგი. სმოლენსკის გუბერნატორი სუკოვკინი კიევის გუბერნატორად დაინიშნა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროში კანონპროექტი წარადგინა რუს მემამულობის დასაცავად სამხრეთ-დასავლეთ და ბესსარაბიის გუბერნიებში. განძრახულია რომ იმ უცხოელთ, რომელთაც რუსეთის ქვე შევრდომობა 15 თიბათ. 1888 წლის შემდეგ მიიღეს, და პოლონეთი, ამის შემდეგ გადმოსახლებულ პოლონელებს აეკრძალოთ უძრავ ქონების საკუთრად შეძენა ქალაქს გარედ, ან მფლობელობა და სარგებლობა.

კიევი. მეოთხე სრულიად რუსეთის ტერაპევტებისა კრება დაიწყო. მონაწილეობს 500 კაცი. თავმჯდომარეობს პროფ. იანოვსკი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და ჩვენს ღარიბ წიგნთ-საცავ სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება:

1. ნოვოროსიიდან, ნიკიფორე ხუხუნაიშვილისაგან მივიღეთ, ძველი ცემენტის ქარხნის მუშების არტელისაგან ხუთი თუმანი. (50 მან.).

— სოხუმიდან, ძმ. კოწია და რუბენ მგელაძეებისაგან მივიღეთ, აგვისტოში—10 მანეთი თავიანთი შემოწირულება და 14 მანეთი კი მათ მიერ მოგროვილი. სულ 24 მანეთი.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 781.

— მიხაილოვიდან, ბიქტორ გიორგისძე მახარაძისაგან მიღებული გვაქვს, მარტში (რომლის გამოცხადება სხვა და სხვა მიზეზებისა გამო დაგვიგვიანდა) 10 მანეთი თავისი შემოწირული...

კარგი იქნება სხვებიც წაბაძავდნენ ამ მაგალითს, მოგვაწვდიდნენ, შემოწირულებებს ფულით იქნება თუ წიგნებით და მით ხელს შეუწყობდნენ ასეთ სიმპატიურ საზოგადოების არსებობას.

აკეთის (გურია) უფასო სამკითხველოს გამგეობის მინდობილობით.

გამგეობის წევრი

კალენიკე ბერძენიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და შემოსწირეს ფულით შუხუთის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ: ფილიპე ორაგველიძემ მანეთი, ქიშვარდი ივანეს ძე ორაგველიძემ ათი შაური, დომენტმა ორაგველიძემ ათი შაური, მალხაზ ნიკოლაიშვილმა ექვსი შაური, ხალამპრე ორაგველიძემ ერთი აბაზი, რაჟდენ ორაგველიძემ ერთი აბაზი, გიორგი ს. თავართქილაძე 1 მ. 70 კაპ.

შუხუთის (გურია) უფასო წიგნთ-საცავსამკითხველოს გამგე მღ. **დავით იმნაიშვილი.**

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა შევსწირო ბატონ ონისიმე თომას ძე ტყეშელაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ზედა ალლაკის ორ-კლასიან სასწავლებელს ზარი და სხვა და სხვა სასწავლო ნივთები ღირებული ოცდაათ მანეთად.

სასწავლებლის გამგე **ნ. ნიჟარაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106.** საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № , საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: ს ხ.-საბ. № 83;7, ალ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში· სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ-საბ.** № 70, საღ 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან ტყიბულს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

ტყიბულიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 Г ნაშ. ს. 8 წ.

ბათ ომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუაღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 2 ს 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65. საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედეონოვი** (სიონის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-თსიპკოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 465).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. ჭავჭავაძე**? (სოლოლაკი, ამაღლების ქ. , 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაკლაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„რუსეთის ვაჭრობა-ნაოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკევს**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქ—დან გად·ს:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ. **ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

განცხადებანი

ქირავდება სახლი
1, 2 და 3 ოთახიანი

ავეჯით და უავეჯოთ, სახელმწიფო ბანკის გასწვრივ, ბარონის ქუჩა № 14. 874

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.** დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:	
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილთ.	სპექტიორი გ. მ. . . .	8½—9½	ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11	ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12	ს.
	აბაკელია ი. ქ. . . .	12—1	ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½	ს.
[illegible] სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1	ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½	ს.
საშარდე და გვამის [illegible] სნეულებ.	გრიგორიანი ა· ი. . . .	11—12	ს.
სნეულებ. საშვილოსნ. და [illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12	ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½	ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½	ს.
ცუდი სენი და კანის სნეულებ.	შაპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“** და **„914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ახალი ჟურნალი
„განთიადი“

1913 წლის პირველ იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი

„განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო,; 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4 მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7 კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 40 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავარიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

1615 რედაქტორ-გამომცემელი **მღ. ს. მჭედლიძე.**

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ზ. გ. ბახსაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიშანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1028 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფილოდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე 70 კაპ., იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ძიძების ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. (დღ;))· მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მირტუმოვი.** 1037.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი

ვლედულოვ საპერავს

ქალებისა და ბავშვების კაბებს.

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ, ძრიელ ნაკლებ ფასად. აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგების დაგვარად.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი

„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე დევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნირდად საფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

წ. 1161

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობისა,

ЧАСЫ
АНКЕРЪ
СЕКРЕТЪ
НА 15 КАМ



ოქროს საათის ადგილას, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ. 70 კ. ღირს, გირჩევთ **ხრონომეტრს** რომ ლიც [illegible] მოხდენილობით ოქროს [illegible] ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვილ ოქროში. საათი ბეჭედი სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათში ერთხელ იმართება. ფირმის გაავრცელებლად ყველა საათს ჩუქრად ვატან 2 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამ [illegible] ამერიკ. ოქროს ძეწკვ, 2. ზრელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერ. ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან საფულეს, 10 შემკვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის სადებავი, 12. დაბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას**, 13. პარიზის პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელს, 14—19 ამ პლასტოგ [illegible] სურათი, 20. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს სანახაობას. ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი 9 მ. 30 კ. [illegible] ეთივე სახურავებიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

მისამართი: Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.

მეტცლ. № 61279. 1590

სორაპანის გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად **„კედლის კალენდარი 1913 წ.“, შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.** კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათებით, შეკრულია თუნუქით, კარდონი დაბეჭდილია 4 ფერი საღებავით. იყიდება ყველგან. ფასი 40 კაპ.—დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ აგრეთვე **„სახალხო კალენდარი“ 1913 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.** კალენდარი დასურათებულია აუარებელი სურათებით. ფასი 20 კ.—გამყიდველებს %% დაეთმობათ. **ადრესი:** ტფილისი. სტამბა „სორაპანი“. 849

კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება

აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 20-დან 31-დე გაიხსნება

ორი ბაზარი თაფლისა.

1 მოთავსდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

2 ვერის დაღმართზე ანანოვის სახლში.

შესვლა უფასოა. 877.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

კვირას, 23 დეკემბერს, გამოვა ახლად ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი დროება“

ხელის მოწერის პირობები ტფილისში და ტფილის გარედ; წლიურად—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—60 კ. საზღვარ-გარედ ერთი ორად მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., მეოთხეზე—10 კ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ანდრონიკაშვილი ი., ახნაზაროვი არტემ, ამირაჯიბი გ., ანდრონიკაშვილი კ., გომართელი ი., გოთუა პ., გოგიჩაიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., გვაზავა გ., გუნია ც., დუმბაძე დ., დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ვართაგავა იპ., იოსელიანი ეგ., კასრაძე დ., მგალობლიშვილი ს., მესხი კ., ნატროშვილი ანტ., იას რაქველი, ჯანაშვილი მ., ყიფშიძე გრ., თუმანიშვილი კ., მალიკაშვილი ვალ. და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц газ. „Закавказская Рѣчь“. Телефонъ № 12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроэба“

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.
გამომცემელნი [illegible]. დ. ყორდელაძე
მ. გაჩეჩილაძე.

1651.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

გამოსული ქერჩის სელიოტკები

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარი ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზუგიელი,** და ყოველგვარი

შავი ხიზილალა

თევზის მრეწველნი

ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

პარიზული მაღაზია
ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა

საგანგებოდ **დღესასწაულებისათვის**

განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ახალ-ახალი

შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

ხელმისაწვდომ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

ფასები შეუვაჭრებლად.

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

ტელეფონი № 258.

1525

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.